ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

სანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის ივლისიდან დღემდე პერიოდს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია შექმნილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების 23 -ე მუხლის შესაბამისად. კომისია მუშაობას წარმართავს ამ დებულების და საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად.

კომისიაში გაწევრიანებულია საკრებულოს 12 დეპუტატი. კომისიის სხდომები ძირითადად მიმდინარეობს დეპუტატების აქტიური ჩართულობით. კომისიის მუშაობაში აქტიურ საქმიანობას ეწევიან როგორც უმრავლესობის ასევე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 29 სხდომა. სხდომებზე განხილული იქნა 41 საკითხი.

სხდომებზე სხვადასხვა დროს მოწვეული იყვნენ მერიის თანამდებობის პირები, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში დაგვეწერა 51 კორესპოდენცია და წერილი რომლებზედაც რეაგირება განხორციელდა ვადების სრული დაცვით.

კომისიის სხდომებზე განხილული იქნა ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით, ასევე მოხდა 2023 წლის რეგიონალური განვითარების ფონდიდან და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგარამით გათვალისწინებული პროექტების და იდეების მოწონება. კომისიის სხდომაზე განხილული იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით წარმოდგენილი პროექტები. ასევე დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტებია ნუსხა. დადგინდა სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

კომისიამ მოისმინა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის და ა(ა)იპ ხარაგაულის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნული სამსახურების მუშაობა შეფასდა დადებითად.

2023 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან გადმოეცა სოფელ ღორეშაში 2 ერთეული სკვერი, 1 სტადიონი, სოფელ თეთრაწყაროს მოედანი, ციცქიურში ყოფილი დაწყებითი სკოლის ქონება სკვერის მოსაწყობად, ხიდარსა და მოლითში არსებული წისქვილები.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მიღებული თანხმობებით მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში დაირეგისტრირა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები სოფელ სარგვეშში და ვარძიაში ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ეზოების მოსაწესრიგებლად, ბორითში საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის, დაბაში საპრივატიზაციოდ და ხანდებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში დაირეგისტრირა 18 ერთეული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები სულ ფართით 81399 კვმ. აგრეთვე განხორციელდა დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების რეგისტრაცია. აქედან გარე განათების 14 ერთეული, ჭაბურღილი 1, წყარო 1, მოსაცდელი 1, წისქვილი 3, სპორტული მოედანი 1, ხიდები და ბოგირების 13 რეგისტრაცია. აგრეთვე ბაზალეთი- ღორეშის 10573 მ. სიგრძის გზის რეგისტრაცია. დაბაში 1816 კვმ დარეგისტრირდა სასაფლაოს მოსაწყობად. ასევე განხორციეკდა სოფელ ვახანის, ფარცხნალის, ხიდრის, ვარძიის სოფლის ამბულატორიების ფართების გადაცემა სახელმწიფოზე შემდგომში სამედიცინო ჰოლდინგზე გადაცემის მიზნით. ასევე 200 კვმ მიწის ნაკვეთი სოფელ სარგვეშში ამბულატორიის ასაშენებლად. სოფელ თეთრაწყაროში 7362 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა 20 წლის ვადით გადაეცა

სატყეო სააგენტოს ე.წ საქმიანი ეზოს მოსაწყობად. დაბაში 1636 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა # 2 საჯარო სკოლას პროფესიული სასწავლების აშაშენებლად.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მოახდინა სხვადასხვა ობიექტის ადგილზე დათვალიერება. დაბაში დევების ქანდაკების სკვერის მიმდინარე სამუშაოები, რომელიც უკვე დასრულებულია, დაბაში მიმდინარე წყლის სისტემის სამუშაოები და დაბას უკვე მიეწოდება წყალი 24 საათიანი რეჟიმით, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. # 56 მდებარე კორპუსის სახურავის მდგომარეობა, რომელის სახურავიც უკვე შეცვლილია და სამუშაოები დასრულებულია, აგრეთვე სოფელ წყალაფორეთში და სოფელ ზედუბანში ჭაბურღილების მუშაობის მდგომარეობა და შესაბამისად შედგენილია ადგილზე დათვალიერების ოქმები. აგრეთვე ადგილზე ვეცნობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას.

2022 წელს მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს იჯარის 6 ხელშეკრულება საიდანაც შემოსული თანხა შეადგენს 28 816 ლარს ხოლო 2023 წელას გაფორმებულია იჯარის 2 ხელშეკრულება საიდანაც შემოსული თანხა შეადგენს 23 905 ლარს. პრივატიზაციიდან მიღებული თანხა შეადგენს 2570 ლარს, თუმცა აღნიშნული შემოსავალი არის მცირე და ამ კუთხით მეტი აქტიურობაა საჭირო. დასუფთავების მოსაკრებლებიდან შემოსულია 2022 წელს 65 212 ლარი ხოლო 2023 წელს 128 629 ლარი.

2022 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 809 796 ლარი, თავდაპირველად დაფინანსებული იყო 15 პროექტი. შემდგომში ამ კუთხით გამოყოფილი თანხა გაიზარდა და შეადგინა 5 269 395 ლარი, ხოლო პროექტების რაოდენობა გაიზარდა 33- მდე. პროექტების სამუშაო პროცესი უმეტეს ობიექტებზე მიმდინარეობდა სწრაფი ტემპით რისი შედეგიცაა რომ წლის ბოლოს საკასო შესრულებამ შეადგინა გამოყოფილი თანხის 99 %-ზე მეტი.

ასევე 2022 წელს მოხდა 7 გარდამავალი პროექტის წინსწრებით დასრულება, ნაცვლად 2023 წლისა 2022 წელს შესრულდა1 000 000 ლარზე მეტი სამუშაოები. შესაბამისად აღნიშნული თანხა გამოთავისუფლდა და

მუნიციპალიტეტს მიეცა საშუალება 2023 წელს ახალი პროექტების განსახორციელებლად. ჯამში 2022 წელს მუნიციპალიტეტის 33 სოფელში მობეტონდა 36 კილომეტრი გზა.

2023 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 643 963 ლარი, დაფინანსდა 25 პროექტი. დაფინანსებული 25 პროექტიდან 23 პროექტზე სამუშაოები დასრულებულია. დარჩენილ 2 პროექტზე სამუშაოები მიმდინარეობს და დასრულების ეტაპზეა. დასრულების ეტაპზეა დაბაში მიმდინარე სამუშაოები რომელსაც აწარმოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახლებული რეგიონების ფარგლებში.

2022 წელს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგარამის ფონდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს წარდგენილი პროექტებიდან გრანტი მოიპოვა 4 პროექტზე ჯამში 2 619 727 ლარი. სოფელ ხუნევის საბავშვი ბაღის მშენებლობა, დაბაში დევების ქანდაკების და მიმდებარე სკვერის რეკონსტრუქცია, სოფელ მირონწმინდაში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, დაბაში კულტურისა და დასვენების პარკის რეკონსტრუქცია. ყველა ამ პროექტზე სამუშაოები დასრულებულია.

2022 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 481 512 ლარი და დაფინანსდა 2 პროექტი, სოფელ ჩრდილში საუბნო გზების რეაბილიტაცია. ორივე პროექტზე გაფორმებული იყო გარდამავალი ხელშეკრულება რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 719 432 ლარი. სამუშაოების განხორციელება მოხდა წინსწრებით სრულად. ნაცვლად 418 512 ლარისა შესრულდა 708 224 ლარის სამუშაო, რამაც მუნიციპალიტეტს მისცა საშუალება 2023 წელს დამატებითი პროექტების განსახორციელებლად.

მიმდინარე წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 510 051 ლარი. აღნიშნული თანხით სოფელ წიფაში - 300 000 ლარი და სოფელ გედსამანიაში - 210 051 ლარი, მოხდა გზების რეაბილიტაცია. სოფელ გედსამანიაში სამუშაოები დასრულებულია. ასევე დასრულებულია სამუშაოები სოფელ წიფაში და ვინაიდან ხელშეკრულება იყო გარდამავალი წინსწრებით მიმდინარეობს

2024 წელს შესასრულებელი სამუშაოები, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს 2024 წელს განახორციელოს დამატებითი პროექტები.

2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 890 000 ლარი, სამუშაოების მოცულობების გაზრდის მიზნით მოხდა თანადაფინანსება 329 531 ლარი და ჯამში სოფლის პროექტების ღირებულებამ შეადგინა 1 219 531 ლარი. პროექტების შერჩევის მიზნით ყველა სოფელში ჩატარდა კრებები და მოსახლეობის მიერ შეირჩა 175 პროექტი. ყველა ამ პროექტზე სამუშაოები დასრულებულია.

2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 890 000 ლარი, სამუშაოების მოცულობების გაზრდის მიზნით მოხდა თანადაფინანსება 206 000 ლარი და ჯამში სოფლის პროექტების ღირებულებამ შეადგინა 1 096 000 ლარი. მოსახლეობის მიერ შეირჩა 166 საპროექტო წინადადება. მათ შორის გზების 39,გარე განათების 33, წყლის სისტემების 36, სასაფლაოს შემოღობის 17, ხიდების 4, სკვერების 6, სანიაღვრე არხების 12 და 36 სხვადასხვა კატეგორიის პროექტი. ხელშეკრულებები კონტრაქტორებთან გაფორმებულია და მიმდინარეობს სამუშაოები. სექტემბრის ბოლოს სამუშაოების 90 % იქნება დასრულებული.

2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა გზების, ხიდების, წყლის სისტემის და სხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ჯამური ღირებულებით 154 763 ლარი. 2022 წელს აგრეთვე 116 673 ლარით დაფინანსდა 6 პროექტი, ინოვაციური პროგრამის „სამოქალაქო ბიუჯეტის'' სახით. ამ ეტაპზე ყველა ამ პროექტზე სამუშაოები დასრულებულია.

2023 წელს ადგილობრივი დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი პროექტები: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 54 570 ლარი.

კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საქარიქედში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 4 928 ლარი.

დაბაში ეროვნული დროშის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 19 942 ლარი.

დაბა ხარაგაულში, სტიქიის შედეგად დაზიანებული კინოთეატრის შენობისა და მიმდებარე დამცავი კედლის აღსადგენად საჭირო პროექტირებისათვის, მდინარე ჩხერიმელას კალაპოტის ფორმირება და პროექტის მომზადება ღირებულებით 33 204 ლარი.

მიმდინარე წლის 20-22 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოსული უხვი ნალექის შედეგად, სოფელ ვარძიაში და სოფელ უბისაში ღვარცოფისაგან ამოვსებული ღელის კალაპოტის გაწმენდა ღირებულებით 9 943 ლარი. ყველა ამ პროექტებზე სამუშაოები დასრულებულია.

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიგეგმა ინოვაციური პროგრამის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ 5 პროექტი ღირებულებით 132 853 ლარი. სოფელ საღანძილეში წყაროს რეაბილიტაცია და მიმდებარე სკვერის მოწყობა, დაბა ხარაგაულში ფრენბურთის მოედნის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, სოფელ ვარძიაში ახალგაზრდული სკვერისა და მემორიალური სივრცის მოწყობა, სოფელ მოლითში დარბაზის მოწყობა და სოფელ მაქათუბანში ფეხბურთის მოედნის მოწყობა. აღნიშნული პროექტების შერჩევა მოხდა მოქალაქეების მიერ ხმის მიცემის პრინციპით. ამ ეტაპზე სამუშაოების განსახორციელებლად მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

2022 წელს სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხით 114 795 ლარით განხორციელდა 3 სკოლის რეაბილიტაცია. ამ კუთხით 2023 წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 168 428 ლარს. აღნიშნული თანხით მოხდა 2 სკოლის, სოფელ სარგვეშის და სოფელ მოლითის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ორივე ობიექტზე სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

2022 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოიყო 1 000 000 ლარი. შერჩეული იყო 4 პროექტი. მოხდა 1 დიდი და 2 მცირე სახიდე გადასასვლელების მოწყობა სოფელ ლეღვანსა და სოფელ ვაშლევში. ასევე განხორციელდა კიცხში ჩაწყვეტილი გზის აღდგენა. ამ კუთხით 2023 წელს გამოიყო 340 000 ლარი. შეირჩა 6 პროექტი, რომლიდანაც 3 პროექტზე სამუშაოები დასრულებულია. მათ შორის დაბა ხარაგაულში სოლომონ

მეფის ქ. # 56- ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის შენობის გადახურვის სამუშაოები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების შესყიდვა და სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის სახურავების ხის მასალის შესყიდვა. დანარჩენ 3 პროექტზე, დაბაში ანზორ კიკნაძის ქ.#21 -ში ამხანაგობა რკინიგზელების საცხოვრებელი შენობის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის აღსადგენად საჭირო მასალების შესყიდვა და დაბა ხარაგაულში საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარედ სტიქიისგან დაზიანებული გზის სარეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, მიმდინარეობს მუშაობა. საკასო თანხა ამ დროისთვის შეადგენს 201 726 ლარს.

მინდა აღვნიშნო, რომ მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური, ინსპექტირების კომისიის წევრებთან ერთად, ინტენსიურ მონიტორინგს უწევენ მუნიციპალიტეტში საამშენებლო სამუშაოების წარმოებას. ასევე ყოველ კვირაში ხდება შეხვედრა მშენებელ ორგანიზაციებ თან რათა გამოირიცხოს ან დაუყოვნებლივ მოხდეს რაიმე ხარვეზის აღმოფხვრა პროექტში.

საბოლოოდ 2022 წელს, ყველა ფონდიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 11 421 759 ლარს, ხოლო 2023 წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 5 672 474 ლარს. ვიმედოვნებთ რომ ამ კუთხით გამოყოფილი თანხები წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში 2023 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა წარადგინა 2 საპროექტო იდეა: კურორტ ნუნისთან მისასვლელ ქუჩაზე ღობეებისა და გარე განათების მოწყობა და ხარაგაულის ინოვაციების ცენტრის ფუნქციური გაძლიერება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა. აღნიშნული ორი წინადადებიდან გრანტი მოიპოვა ინოვაციების ცენტრმა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ დაფინანსდება 99 000 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით და მგზავრობის შეღავათიანი

ტარიფების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად 2022 წელს მუნიციპალური ტრანსპორტი მოძრაობდა შემდეგი მიმართულებით:

1. ხარაგაული-საავადმყოფო-თეთრაწყარო-კიცხი- ბაზალეთი-ფარცხნალი. ხელშეკრულების ღირებულება 14400 ლარი.
2. ხარაგაული-მოლითი ზვარე. ღირებულება 11841 ლარი.
3. ნადაბური-ხევი-უბისა-ხარაგაული. ღირებულებით 11520 ლარი.
4. ხარაგაული სლითი. ღირებულება 4200 ლარი
5. ვახანი ვახანისწყალი. ღირებულება 2340 ლარი.

აღნიშნულ მიმართულებებს 2023 წელს დაემატა გედსამანის-ხევი-უბისის მიმართულება. ხელშეკრულების ღირებულება 14700 ლარი.

კომისია შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების მაჟორიტარ დეპუტატებთან და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობით, ადგილზე ვეცნობოდით ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს როგორც მერიასთან ასევე საკრებულოს სხვა კომისიებთან. რამდენჯერმე გაიმართა კომისიის ერთობლივი სხდომები. მონაწილეობას ვღებულობდით სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში.

კომისია ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდება საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ისე როგორც საკრებულოს თავმჯდომარის დავალებებს და გადაწყვეტილებებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ კვირიკაშვილი

.